ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6952526

ნომერი: AR11024523

თარიღი : 19.03.2024

გაცემის თარიღი : 26.03.2024

გაცნობის თარიღი : 27.03.2024

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მიკრო/რაიონი ვაზისუბანი II , N 16 ; ქალაქი თბილისი , დასახლება ვაზისუბანი , II მ/რ , N 16 , მიმდებარედ ; ქალაქი თბილისი , დასახლება ვაზისუბანი , მიკრო/რაიონი II , ნაკვეთი 21/014;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ქეთევან ჩიჩუა პ/ნ 01001060952
- საქართველო, ქალაქი თბილისი, ილორის ქუჩა, N 10, ბინა 7

ორგანიზაცია:

- შპს მწვანე სახლი ვაზისუბანი კოდი: 400305807

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2024 წლის 19 მარტის AR11024523 განცხადება, რომლითაც ითხოვთ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანას.
პასუხად გაცნობებთ, რომ დამატებითი მრავალბინიანი შენობის განთავსების მიზნით, საჭიროა სამსახურს მომართოთ ახალი მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების დადგენის ნომენკლატურით.
დამატებით გაცნობებთ, რომ საჭირო იქნება წარმოადგინოთ შესაბამის სამსახურში შეთანხმებული განახლებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა, ასევე დაცული იქნას განაშენიანების რეგულირების ხაზი უკანა ეზოსთვის, უკანა ეზოში შენობის ნაწილი არ უნდა განთავსდეს.
სამსახური ამ ეტაპზე მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი 2024 წლის 19 მარტის AR11024523 განცხადება ორი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილებასთან დაკავშირებით.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.